

ქ. თბილისი

09 მარტი 2017 წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი, შემდგომში წოდებული "შემსყიდველად", წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის გურამ ტომარაძეს სახით და შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება“-ის დირექტორის ქეთევან ალექსიძის სახით შემდგომში წოდებული "მიმწოდებლად", ორივე ერთად წოდებული "მხარეებად", ვმოქმედებთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16¹ მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. ხელშეკრულების საგანი

შსს სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მეშვეობით სატრენინგო მომსახურების (საპაერო ტრანსპორტით სახიფათო ტვირთების გადაზიდვის წესებში საავიაციო უშიშროების უზრუნველყოფი პერსონალის მომზადება) შესყიდვა (დანართი 1-ის შესაბამისად).

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **19 400.00** (ცხრამეტი ათას ოთხასი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე, მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში) წარმოდგენიდან **10 (ათი) კალენდარული დღის** ვადაში.

3.4 ანგარიშსწორება ხორციელდება შსს სსიპ-დაცვის პოლიციის დეპარტამენტის **2017 წლის საკუთარი სახსრებით.**

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. გაწეული მომსახურების, მათ შორის ეტაპობრივზე, ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით;

4.2. მიმწოდებლის მიერ სწავლების ყოველი ეტაპის ჩატარების შემდგომ გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი;

4.3 მომსახურების მიღებას აწარმოებს - სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საავიაციო უშიშროების სამმართველოს შესაბამისი უფლებამოსილი პირი.

5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

5.1. მომსახურების გაწევის ადგილი: ქ. თბილისი და თბილისის ფარგლებს გარეთ - ბათუმი, ქუთაისი, მესტია.

5.2. მომსახურების გაწევის ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან **2017 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით, მოთხოვნიდან 5 (ხუთი) დღეში.**

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

6.1.1. გაუწიოს შემსყიდველს ხარისხიანი მომსახურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროსა და ადგილას;

6.1.2. კეთილსინდისიერად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

6.1.3. დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;

6.1.4. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

